ოქმი #16

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 27 ოქტომბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, დ. მუშკუდიანი, ნ. ბურჯალიანი, მ. ახვლედიანი, ე. საღინაძე, გ. გურგუჩიანი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ა. მახარობლიძე, ა. თვარაძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი, რომლის მიხედვითაც ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადი განსაზღვრულია 9416,4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებელი 187,1 ათსი ლარით აღემატება 2023 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული დღგ-ს მოცულობას, რომელიც 9229,3 თას ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე 2023 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, კერძოდ, დღგ გაიზრდება 187,1 ათასი ლარით.

დამატებით მისაღები შემოსავლის ბიუჯეტის გადასხდელებში გადანაწილების მიზნით გაანალიზდა პრიორიტეტების მიხედვით არსებული მდგომარეობა და გამოიკვეთა ის დამატებითი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება მუნიციპალიტეტის სინამდვილეში აუცილებლობას წარმოადგენს, კონკრეტული პროგრამების მიხედვით საჭიროებები ასეთია:

- საგზაო ინფრასტრუქტურა - ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა და მშენებლობა, რომლისთვისც გამოიყოფა 58,6 ათასი ლარი.
- კეთილმოწყობის ღონისძიებები - ამ მიმართულებით დღის წესრიგშია შემდეგი დამატებითი ღონისძიებები: სოფელ ოყურეშის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები - 19,6 ათასი ლარი, სოფელ ლაჯანაში უმწეოთა სასადილოს სარემონტო სამუშაოები - 22,5 ათასი ლარი, ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ განთავსებისთვის ქ. ცაგერში ყოფილი უშიშროების სამსახურის ოფისის სარემონტო სამუშაოები - 8,0 ათასი ლარი. აღნიშნულ ობიექტებზე არსებული მდგომარეობა შესწავლილი იქნა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ და შედგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი).

-მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მ/წ ბოლომდე ფუნქციონირებისათვის საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსი:

სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრი - 60,0 ათასი ლარი (ზამთრის თბობის სეზონისთვის სათბობის შეძენა, ახლად აშენებული საბავშვო ბაღებისთვის ავეჯის შეძენა).

სამუსიკო სკოლა - 1,0 ათასი ლარი (მ/წლის სექტემბრის თვიდან დამატებით მიღებული ბავშვთა კონტიგენტის გამო).

დეხვირის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ - 7,5 ათასი ლარი, მ/წელს მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით მუზეუმის ტერიტორიაზე განხორციელდა კეთილმოწყობის სამუშაოები.

საფეხბურთო გუნდი ,,ხვამლი“ – 2,7 ათსი ლარი ხელფასის ფონდი უზრუნველყოფისათვის და მუნიციპალური გუნდისთვის ფორმების შესაძენად.

სამხატვრო სკოლა - 1,5 ათასი ლარი, სამხატვრო სკოლის შენობის დაზიანებული გარე კიბის აღდგენისათვის.

- ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მომართა შპს ,,მანქანა-ტრაქტორთაპარკი“-ს დირექტორმა და დააყენა საკითხი, რომ საწარმოზე საკუთრებაში გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონება ექსკავატორი CHUKUROVA საჭიროებს საბურავების შეცვლას და რემონტს, თხოვნა გათვალისწინებული იქნა და სუბსიდიის სახით დაიგეგმოს 6,0 ათასი ლარი ზემოთ აღნიშნული დანიშნულებით.

აღსანიშავია, რომ მიმდინარე ეტაპზე ზოგიერთი პროგრამის და ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფაა საჭირო ,,ინფრასტრუქტურის განვითარების“ პრიორიტეტის ფარგლებში. კერძოდ: სანორჩი-ნასპერის გზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების დაფინანსებისთვის. წარმოდგენილი პროგრამის დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის მოხდეს რესურსების შემდეგი გადანაწილება: შემცირდეს - მერიის არაფინანსური აქტივები 15,0 ათ. ლარით.

- მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფა - 30.0 ათ. ლარით.
- სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 10,0 ათ. ლარით.
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 15,0 ათ. ლარით.
- ,,ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 30.0 ათ. ლარით

- დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება - 38, 6 ათ. ლარით.

სულ 138,6 ათ. ლარით.

გაიზარდოს:

- რეგიონალური პროექტების პროექტირება და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება - 138,6 ათ. ლარით.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე წყლის სისტემების რეაბილიტაცია გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში, მუნიციპალიტეტმა მოიპოვა დაფინანსება კულტურის ცენტრის რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, რაც თანხობრივად შეადგენს 56,0 ათ. ლარს, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლოგადასახდელებში რეგიონალური პროექტების პროექტირება და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება 243.1 ათ. ლარით.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, თ. ჭაბუკიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: **ჭაბუკი ჭაბუკიანი**